

შპს “ტატო 2002”

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
დასრულებული წლისთვის

შპს 'ტატო 2002'-ის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით

შენიშვნები		31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
აქტივები				
<i>მიმდინარე აქტივები</i>				
ფულადი სახსრები	12	32966	27814	47990
სავაჭრო მოთხოვნები	6.1	234586	130954	83640
სასაქონლო მატერიალური				
მარაგები	7	32388	46628	41382
		299940	205396	173012
 გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	8	32961	25099	26105
		32961	25099	26105
სულ აქტივები		339201	230495	199117

ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი

მოკლევადიანი ვალდებულებები

საფაქრო ვალდებულებები	9	118486	74032	76983
საგადასახადო ვალდებულებები		4878	2989	135

		123364	77291	77118
--	--	--------	-------	-------

მოკლევადიანი სესხი 10

		0	0	23200
--	--	---	---	-------

		0	0	23200
--	--	---	---	-------

სულ ვალდებულებები

		123364	77294	100318
--	--	--------	-------	--------

საკუთარი კაპიტალი

მოგება

		215837	153204	98799
--	--	--------	--------	-------

		215837	153204	98799
--	--	--------	--------	-------

სულ ვალდებულებები და კაპიტალი

		339201	230495	199117
--	--	--------	--------	--------

შპს 'ტატო 2002'-ის ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2019 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან

კლიენტებისგან და დებიტორებისგან

მიღებული ფული

2904567

კრედიტორებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები

(2728465)

თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები

(139974)

გადახდილი პროცენტი

(976)

წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან

35152

ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან

ძირითადი საშუალებების შეძენა

(30000)

წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან

(30000)

ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან

სესხის მიღება

15000

სესხის დაფარვა

(15000)

წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან

0

ფულისა და ფულის ექვივალენტების წმინდა ზრდა

5152

ფულისა და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში

27814

ფულისა და ფულის ექვივალენტების პერიოდის ბოლოს

32966

შპს “ტატო 2002”-ის 2019 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება (ხარჯების ფუნქციების მიხედვით)

შენიშვნები		2019
ამონაგები	3	2606138
რეალიზებული პროდუქციის		
თვითღირებულება		(2217897)
საერთო მოგება		388241
სხვა შემოსავალი	4	5553
დასაქმებულთა ანაზღაურება		(178082)
იჯარა	11	(8136)
ცვეთა და ამორტიზაცია		(11075)
საგადასადო ხარჯები		(3126)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები		(129315)
ფინანსური დანახარჯები (საპროცენტო) 5		(1427)
მოგება დაბეგვრამდე		62633
მოგების გადასახადის ხარჯი		0
მიმდინარე წლის მოგება/ზარალი		62633
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი		
წლის დასაწყისში		153204
დივიდენდები		0
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი		
წლის ბოლოს		215837

შპს “ტატო 2002”-ის სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2019 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს “ტატო 2002” ის ძირითადი საქმიანობაა საბითუმო ვაჭრობა უაღკოპოლო სასმელებით. საქმიანობის ადგილია თელავი, დაღმაშენებლის ქ. №39ბ.

საზოგადოების დამფუძნებელი არის:

თამაზ ზათიაშვილი

100%

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (IFRS for SMEs) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში: “ლარში”.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით. ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული

აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური ვადები:

ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი 5 – 10 წელი

ტრანსპორტი 5 წელი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების შეფასება, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ

გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად. ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და მისი მიღებისათვის საჭირო დანახარჯების დამატებით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ

საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

მოგების გადასახადი

2017 წლის 01 იანვრიდან მოგების გადასახადის დაბეგვრის მიზნით მოქმედებს ე.წ. “ესტონური მოდელი”, რის მიხედვითაც საწარმო მოგების გადასახადისგან გათავისუფლებულია, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა:

- ა) ხდება პარტნიორებზე მოგების განაწილება დიდვიდენდის სახით;
- ბ) გაწეულია ხარჯი ან სხვა გადახდა რაც დაკავშირებული არ არის საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- გ) უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება ან ფულადის სახსრების გადაცემა;
- დ) საგადასახადო კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით წარმომადგენლობითი ხარჯის გაწევა.

3. ამონაგები 2019

ლარი

საქონლის გაყიდვა 2606138

4. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალს წარმოადგენს სარეკლამო მომსახურებით მიღებული შემოსავალი 5553 ლრი

5. ფინანსური დანახარჯები

2019

ლარი

დამფუძნებლისაგან მიღებული სესხის
პროცენტი

(1427)

(1427)

6. საეჭრო და სხვა მოთხოვნები

31.12.2019

31.12.2018

ლარი

ლარი

6.1 საეჭრო დებიტორები

234586

130954

234586

130954

7. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

31.12.2019

31.12.2018

ლარი

ლარი

საქონელი და ნედლეული

32388

46628

32388

46628

8.ძირითადი საშუალებები

	არამატერ იალური აქტივი	ტრანსპო რტი	ოფისის აღჭურვილობ ა; ავეჯი და ინვენტარი	სულ
თვითღირებულე ბა				
31.12.2018	3500	18635	2966	25101
შემოსვლა		30000		30000
გადაფსება				
გასვლა		4765		4765
31.12.2019	3500	43870	2966	50336
ცვეთა და გაუფასურება		10233	842	11075
31.12.2019				
საბალანსო ღირებულება	3500	33637	2124	39261

9. სავაჭრო ვალდებულებები

2019 წლის 31 დეკემბრისთვის სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს 118486 ლარს, ხოლო 2018 წლის 31 დეკემბრისთვის 74302 ლარს.

10. სასესხო ვალდებულებები

საწარმოს გაფორმებული აქვს ჩვეულებრივი მოკლევადიანი სასესხო ხელშეკრულებები დამფუძნებელთან.

11. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

საწარმოს გაფორმებული აქვს ჩვეულებრივი საიჯარო ხელშეკრულებები. ამ იჯარების საშუალო ვადა ერთი წელია და ამავე ვადაში გათვალისწინებულია ფიქსირებული საიჯარო გადასახდელების გადახდა.

2019

ლარი

ჩვეულებრივი იჯარით გათვალისწინებული

მინიმალური საიჯარო გადასახდელები,

რომლებიც მიმდინარე წელს

აღიარებულია ხარჯად

8136

12. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

2019

ლარი

ფულადი სახსრები საღაროში

14175

ფულადი სახსრები ბანკში

18791

32966

ანგარიშების პერიოდს შემდეგი მოვლენები

ბალანსის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებს და ცვლილებებს მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

შედგენის თარიღი:

31.10.2020წ

დირექტორი:

/თ.ზათიაშვილი